სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს VII სხდომა

სხდომის ოქმი N7

თბილისი, 20 აპრილი, 2023

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. **გიორგი ზუბიტაშვილი** - სპორტის დოქტორი; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი, ორთაბრძოლების კათედრის გამგე - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **სოფიო გვეტაძე** - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ალექსანდრე გობირახაშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, მიწვეული სპეციალისტი; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის სპორტკლუბის ხელმძღვანელი;
4. **ლაურა ელიაური** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

5. **თამარ მამაგულაშვილი** - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი კატეგორიის სპეციალისტი;
6. **შალვა ონიანი** - საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; საქართველოს ახალგაზრდული კალათბურთელთა ნაკრებების (U20; U18; U16; U15; U13) მენეჯერი; FIBA-ს 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დირექტორი; FIBA-ს EUROBASKET-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; FIBA-ს SPOC-ი (სპორტი და სამართლიანობის ოფისის) ხელმძღვანელი;
7. **მერაბ მეტრეველი** - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრის დირექტორი, სპორტთამაშების კათედრის (ხელბურთი) ასისტენტ-პროფესორი; ევროპის ფედერაციის ხელბურთის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ხელბურთის მწვრთნელთა სერტიფიცირების სისტემის ხელმძღვანელი;
8. **თორნიკე კიკნაველიძე** - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განვითარების კურსების ხელმძღვანელი;
9. **ვაკო დარსაძე** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის მოადგილე, მწვრთნელთა განათლების მენეჯერი, უეფა-ს SHARE პროექტის კოორდინატორი, ფიფა-ს TDS-ს პროექტის ხელმძღვანელი, ევრო U21 2023 სავარჯიშო მოედნების და გუნდების სერვისების მენეჯერი;
10. **მაია ხურცილავა** - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების ადა პროფესიული გადამზადების ექსპერტი;

11. **ზაზა ზამთარაძე** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური დირექტორი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:30 საათზე, დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დაეწყო შეხვედრა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი ზუბიტაშვილმა წარადგინა დღის წესრიგი:

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის სრულად განხილვა და კენჭისყრა პროექტის ცენტრის დირექტორთან დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის I შესავლის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

I. შესავალი

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია სპორტის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ შეიძენს.

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის სფეროს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მისანიჭებელ კვალიფიკაციათა საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს სპორტის სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და მათი დასაქმებით;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელება: Subject benchmark statement of Sport.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის II სწავლის სფეროს აღწერის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

II. სწავლის სფეროს აღწერა

სპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი ავითარებს ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს და შესაბამისად ორგანიზებულ გარემოში მათი რეალიზების საშუალებას იძლევა.

სპორტის სფეროს, სხვა მრავალ მიმართულებასთან ერთად, გააჩნია აღმზრდელობითი, რეკრეაციული და საშეჯიბრო ფუნქციები:

- **აღმზრდელობითი ფუნქცია** ვლინდება გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებაში, დისციპლინირებაში, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებაში, თავშეკავებულობის აღზრდაში, მიზანსწრაფულობის ფორმირებაში, „სამართლიანი თამაშის“ წესებისადმი ადაპტირებულობაში, ეთიკური ქცევის გამომუშავებაში და ა.შ;
- **რეკრეაციული ფუნქციის** რეალიზებით ხელი ეწყობა საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, პოზიტიური სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას და ჯანმრთელობის განმტკიცებას;
- **საშეჯიბრო ფუნქციის** რეალიზებით მიიღწევა სარეკორდო შედეგები, ვლინდება გამარჯვებული, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში და ხელი ეწყობა ქვეყნის პრესტიჟის ზრდას საერთაშორისო ასპარეზზე;

სპორტის სფეროში უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა შესაბამისი მეთოდებისა და ტექნოლოგიების საშუალებით მოამზადოს პროფესიონალი, რომელსაც სპორტის სფეროს კონკრეტული მიმართულებებით ექნება თანამედროვე ცოდნა, ამ ცოდნის რეალიზების მზაობა და უნარი.

სწავლების პროცესში სტუდენტი ეუფლება ერთი მხრივ სპორტის სფეროს თეორიულ ცოდნას - შესაბამისი დისციპლინების შესწავლის გზით, ხოლო მეორე მხრივ იძენს დარგისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაზე, არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე.

უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტს აძლევს როგორც პროფესიულ საბაზისო ცოდნას ზოგადმეთოდური, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური, მედიკო-ბიოლოგიური და მეცნიერული საფუძვლების შესახებ, ისე უვითარებს პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელ ძირითად უნარ-ჩვევებს. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კი პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნისა და უნარების, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციის გაღრმავებას.

სპორტის სფეროს შესაბამისი მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის III სწავლის შედეგების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

III. სწავლის შედეგები

მოცემული სწავლის შედეგები არის მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვაც ევალებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **მიმოიხილავს** სპორტის როგორც აღმზრდელობითი, ისე რეკრეაციული და საშეჯიბრო ფუნქციების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების პროცესში.
- **აღწერს** სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელ უახლეს ასპექტებს, სწავლებისა და წვრთნის პრინციპებსა და მეთოდებს.
- **ახდენს** სპორტის სახეობის სპეციფიკის (ტერმინოლოგია, სპორტსმენის მომზადების მხარეები, შეჯიბრების წესები და ა.შ.) ცოდნის დემონსტრირებას.
- **ავლენს** სასპორტო განათლებასთან და სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საბაზისო მედიკო-ბიოლოგიურ (ანატომია (ადამიანის ორგანიზმის აგებულება); ფიზიოლოგიის (ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება); ბიოქიმიის (ადამიანის ორგანიზმის მეტაბოლიზმი და

ჰორმონული ფუნქცია) და ა.შ), ქცევითი და სოციალური მეცნიერებების (ფსიქოლოგია (ადამიანის განვითარება - ბავშვი, მოზარდი, ზრდასრული, ხანდაზმული); სოციოლოგიის (გენდერული საკითხები) და ა.შ.) ცოდნას.

უნარები

კურსდამთავრებული:

- სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკის შესაბამისად, სამუშაო გარემოში **იყენებს** სათანადო სწავლებისა და წვრთნის მეთოდებსა და საერთოგანმავითარებელ და სპეციალურ ვარჯიშებს როგორც საშუალებებს, სპორტის მეცნიერებაში ფართოდ გამოყენებულ კვლევის მეთოდებთან ერთად.
- **აგროვებს** და **განმარტავს** სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემებს (მეთოდური ლიტერატურის მიმოხილვა, საშეჯიბრო ანალიზი, სპორტსმენთა მუშაობისუნარიანობის დონის შეფასება ტესტირებით და ა.შ.), შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, **აყალიბებს** სათანადო დასკვნებს.
- პროგრამის პროფილის შესაბამისად, წინასწარგანსაზღვრული მითითებების მიხედვით, **ასრულებს** კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს/ნაშრომს.
- **მსჯელობს** სპორტის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ (საწვრთნელი და საშეჯიბრო მოღვაწეობის ეფექტურობა, რეკრეაციული საკითხების მნიშვნელობა, მეცნიერული ანალიზისთვის შესაბამისი მეთოდები და სხვა) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერითი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- **აფასებს** როგორც თავის, ისე სხვათა ძლიერ და სუსტ მხარეებს, **გეგმავს** საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.
- სამუშაოს შესრულების პროცესში **ავლენს** პროფესიონალიზმს, **ქმნის** უსაფრთხო სამუშაო გარემოს, **მოქმედებს** გუნდურობის, სამართლიანი თამაშის წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

3.2 მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა-გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **ავლენს** ღრმა და სისტემურ ცოდნას სპორტის სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და საკვანძო საკითხების (შესაბამისი სპორტის სახეობის ან/და სპორტის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების) შესახებ.
- დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით **განიხილავს** სპორტში წარმატებული მოღვაწეობისთვის საჭირო უნარებს: როგორც პიროვნული მახასიათებლების, ისე პროფესიული ნიშან-თვისებებისა და მოტორიკის დონეზე.
- **კრიტიკულად გაიაზრებს** სპორტის სფეროში არსებული სასწავლო და საწვრთნელი პრობლემატიკის რაციონალური გადაწყვეტის სტრატეგიებს, როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული პერსპექტივიდან გამომდინარე და ავითარებს ახალ, ორიგინალურ იდეებს.
- **ავლენს** ღრმა და სისტემურ ცოდნას სასპორტო განათლებასთან და სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური დარგების (მედიკო-

ბიოლოგიური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები და სხვა) მიმართულებით.

უნარები

კურსდამთავრებული:

- **ადგენს** მოკლევადიან და გრძელვადიან კომპლექსურ სამუშაო/სასწავლო/საწვრთნელ გეგმებს, სპორტის სფეროში არსებული ამოცანების, საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით.
- შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, **ახდენს** სპორტის შესაბამის სახეობაში არსებული თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებას; შესაბამისად, **ახორციელებს** ინტერვენციებს ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით.
- **მოიძიებს** აქტუალურ ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზეც, **წარმართავს** კვლევას დამოუკიდებლად; აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, **წარადგენს** თავის ნამუშევარს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- საქმიანობის პროცესში **იცავს** უსაფრთხოების ნორმებსა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **მოქმედებს** პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
- დამოუკიდებლად **განსაზღვრავს** თავისი შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი განვითარების საჭიროებას და **წვლილი შეაქვს** სხვათა პროფესიული/შემოქმედებითი განვითარების პროცესში.

- **ითვალისწინებს** სპორტის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის ანტი-დოპინგური სააგენტოს) წესებსა და რეგულაციებს და პატივს სცემს ოლიმპიური მოძრაობის ღირებულებებს.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის IV მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სპორტის სწავლის სფეროს შესაბამის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ქვემოთჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

ა) ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (სპორტის ბაკალავრი/მაგისტრი);

ბ) მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში);

გ) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში).

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

დეტალური სწავლის სფეროს მითითებით „სპორტის ბაკალავრის/მაგისტრის“ კვალიფიკაცია ენიჭება იმგვარ პროგრამებში, სადაც მრავალი დამხმარე დისციპლინის შესწავლის პარალელურად, აქცენტი კეთდება სპორტის კონკრეტული სახეობის თეორიული ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. ამ

მიზნით, პროგრამაში გამოყოფილი უნდა იყოს გონივრული რაოდენობის კრედიტები სპორტის ამორჩეული სახეობის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის სათანადო დონეზე ასათვისებლად.

თუ პროგრამის მიზანია სპორტის სფეროს მეცნიერულ ჭრილში სწავლება, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: „მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში“. ასეთ შემთხვევაში პროგრამაში კრედიტების გონივრული წილი უნდა დაეთმოს დისციპლინათა იმ ბლოკს, რომლებიც სპორტის სფეროს მეცნიერულად შეისწავლის.

თუ სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად სფეროს თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში“.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის V სწავლება, სწავლა და შეფასების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

V სწავლება, სწავლა და შეფასება

სპორტის სფეროს სწავლების მთავარი მიზანია თანამედროვე ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტის ჩამოყალიბება. სპორტის სფეროს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლების და სწავლის შეფასების

მეთოდები. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო საფეხური. საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშაოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

5.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სპორტის სფეროს ეფექტური შესწავლის მიზნით, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა სასწავლო პროცესი წარიმართოს როგორც სააუდიტორიო სივრცეში, ისე შესაბამის სპორტულ ობიექტებზე. ქვემოთ ჩამოთვლილია სპორტის სფეროში სწავლება-სწავლის რეკომენდებული მეთოდები. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა შესაძლებელია სწავლების პროცესში გამოიყენონ ქვემოთჩამოთვლილთაგან შერჩეული და/ან სხვა მეთოდები.

- **ლექცია**
  - ლექციაზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: ახსნა-განმარტება, პრეზენტაცია და სხვა;
- **სემინარი**
  - სემინარზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში და სხვა;
- **პრაქტიკული მეცადინეობა**
  - პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების პრაქტიკული

შესრულება-დემონსტრირება, პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, ანალიზი, სინთეზი და სხვა;

- **დამოუკიდებელი მუშაობა**
    - დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: წიგნზე მუშაობა, პრეზენტაციაზე მუშაობა, ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება და სხვა.

5.2. შეფასების მეთოდები

სპორტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული და/ან სხვა მეთოდები გამოიყენოს.

შეფასების კომპონენტებია (შეფასების საშუალებებია):

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- კვლევითი პროექტი;
- და სხვა.

5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკა სპორტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ კომპონენტის მიზანია სტუდენტში, როგორც მომავალ სპეციალისტში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, განვითარება და განმტკიცება.

იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც მიმართულია სპორტის კონკრეტული სახეობის მწვრთნელის მომზადებაზე, პრაქტიკული კომპონენტის გამომუშავება ხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ხოლო მისი რეალიზება - სამწვრთნელო პრაქტიკაზე.

5.4. სტუდენტის სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება

სპორტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია და სპეციფიკა მიმართული უნდა იყოს კვლევაზე. ამ მიზნით პროგრამაში შეტანილი უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები.

აღნიშნული სასწავლო კურსები უნდა ქმნიდნენ იმის წინაპირობას, რომ პროგრამაში კვლევითი კომპონენტი სათანადო სიღრმით იყოს წარმოდგენილი, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტში კვლევითი უნარების განვითარებას და ეფექტური, კვლევითი პროფილის მქონე სამაგისტრო ნაშრომის შექმნას.

სამაგისტრო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სპორტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იქნეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაწერილი იქნება ყველა საჭირო პროცედურა.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის VI დამატებითი ინფორმაციის თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. აკადემიური პერსონალი

სპორტის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პრაქტიკული დისციპლინის წამყვან პერსონალს, სპორტის შესაბამისი სახეობის თეორიულ ცოდნასთან ერთად, უნდა გააჩნდეს პრაქტიკული მოღვაწეობის მხრივ დაგროვებული სათანადო გამოცდილება. სასურველია შესაბამისი მიმართულებით ჰქონდეს სამსაჯო გამოცდილებაც, იყოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ან სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

6.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სპორტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა ფლობდეს აუცილებელი სპორტული ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სასწავლო ფართს, რაც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შეუქმნის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს.

პრაქტიკული მეცადინეობა უნდა წარიმართოს სპორტის კონკრეტული სახეობისთვის შესაბამისი სტანდარტების მქონე სპორტულ ობიექტზე, სათანადო ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვით (ამაში იგულისხმება როგორც სავარჯიშო ადგილის, ისე სპორტსმენის ჰიგიენა).

6.3. დასაქმება

სპორტის მიმართულებით ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- დასაქმდეს მწვრთნელად ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, სპორტულ კლუბებში, სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებში (სპორტის ზოგიერთი სახეობის შემთხვევაში, აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, სავალდებულოა შესაბამისი სპორტის სახეობის ფედერაციის ეგიდით განხორციელებული სასერტიფიკაციო კურსების/სალიცენზიო პროგრამების გავლა);
- დასაქმდეს სპეციალისტად – სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში;
- იმუშაოს მეცნიერ-მკვლევარად სპორტის მიმართულებით;
- იმუშაოს შესაბამისი პროფილით კოლეჯსა და უმაღლეს სასწავლებელში;
- და სხვა.

საბჭომ იმსჯელა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის VII დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების თავზე და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	გიორგი ზუბიტაშვილი	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სპორტის დოქტორი; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი, ორთაბრძოლების კათედრის გამგე - საბჭოს თავმჯდომარე
2	სოფიო გვეტაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია	საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი - საბჭოს მდივანი
3	მაია ხურცილავა	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული

			მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ექსპერტი
4	მერაბ მეტრეველი	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრის დირექტორი, სპორტთამაშების კათედრის ასისტენტ-პროფესორი; ევროპის ფედერაციის ხელბურთის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ხელბურთის მწვრთნელთა სერტიფიცირების სისტემის ხელმძღვანელი
5	ლაურა ელიაური	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6	ალექსანდრე გობირახაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო

			პროგრამის ხელმძღვანელი, მიწვეული სპეციალისტი; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; „ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის" სპორტკლუბის ხელმძღვანელი
7	თამარ მამაგულაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი კატეგორიის სპეციალისტი
8	თეონა ასათიანი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სპეციალისტი
9	შალვა ონიანი	ა(ა)იპ - საქართველოს კალათბურთის ფედერაცია	საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; საქართველოს ახალგაზრდული კალათბურთელთა ნაკრებების მენეჯერი; FIBA-ს 20 წლამდელთა ევროპის

			ჩემპიონატის დირექტორი; FIBA-ს EUROBASKET-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; FIBA-ს SPOC-ი - სპორტი და სამართლიანობის ოფისის ხელმძღვანელი
10	ვაკო დარსაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის მოადგილე, მწვრთნელთა განათლების მენეჯერი, უეფა-ს SHARE პროექტის კოორდინატორი, ფიფა-ს TDS-ს პროექტის ხელმძღვანელი, ევრო U21 2023 სავარჯიშო მოედნების და გუნდების სერვისების მენეჯერი
11	ზაზა ზამთარაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური დირექტორი
12	თორნიკე კიკნაველიძე	ა(ა)იპ - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია	საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განვითარების კურსების ხელმძღვანელი

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ზუბიტაშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენისთვის.

დაადგინეს:

საბჭომ დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ზუბიტაშვილი

საბჭოს მდივანი

სოფიო გვეტაძე

დანართი N1

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2023 წელი

I. შესავალი

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელშიც განსაზღვრულია სპორტის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები, ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ შეიძენს.

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის სფეროს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მისანიჭებელ კვალიფიკაციათა საერთაშორისო დონეზე აღიარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს სპორტის სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ;

- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და მათი დასაქმებით;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სპორტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელება: Subject benchmark statement of Sport.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი ავითარებს ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს და შესაბამისად ორგანიზებულ გარემოში მათი რეალიზების საშუალებას იძლევა.

სპორტის სფეროს, სხვა მრავალ მიმართულებასთან ერთად, გააჩნია აღმზრდელობითი, რეკრეაციული და საშეჯიბრო ფუნქციები:

- **აღმზრდელობითი ფუნქცია** ვლინდება გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებაში, დისციპლინირებაში, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებაში, თავშეკავებულობის აღზრდაში, მიზანსწრაფულობის

ფორმირებაში, „სამართლიანი თამაშის“ წესებისადმი ადაპტირებულობაში, ეთიკური ქცევის გამომუშავებაში და ა.შ;

- **რეკრეაციული ფუნქციის** რეალიზებით ხელი ეწყობა საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, პოზიტიური სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას და ჯანმრთელობის განმტკიცებას;
- **საშეჯიბრო ფუნქციის** რეალიზებით მიიღწევა სარეკორდო შედეგები, ვლინდება გამარჯვებული, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში და ხელი ეწყობა ქვეყნის პრესტიჟის ზრდას საერთაშორისო ასპარეზზე;

სპორტის სფეროში უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა შესაბამისი მეთოდებისა და ტექნოლოგიების საშუალებით მოამზადოს პროფესიონალი, რომელსაც სპორტის სფეროს კონკრეტული მიმართულებებით ექნება თანამედროვე ცოდნა, ამ ცოდნის რეალიზების მზაობა და უნარი.

სწავლების პროცესში სტუდენტი ეუფლება ერთი მხრივ სპორტის სფეროს თეორიულ ცოდნას - შესაბამისი დისციპლინების შესწავლის გზით, ხოლო მეორე მხრივ იძენს დარგისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი დამოკიდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაზე, არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, შესაბამისი დაწესებულების და/ან სტრუქტურული ერთეულის ტრადიციასა და განვითარების სამომავლო ხედვაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სხვა ფაქტორებზე.

უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტს აძლევს როგორც პროფესიულ საბაზისო ცოდნას ზოგადმეთოდური, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური, მედიკო-ბიოლოგიური და მეცნიერული საფუძვლების შესახებ, ისე უვითარებს პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელ ძირითად უნარ-ჩვევებს. უმაღლესი განათლების

მეორე საფეხურზე კი პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნისა და უნარების, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციის გაღრმავებას.

სპორტის სფეროს შესაბამისი მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

III. სწავლის შედეგები

მოცემული სწავლის შედეგები არის მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვაც ევალებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **მიმოიხილავს** სპორტის როგორც აღმზრდელობითი, ისე რეკრეაციული და საშეჯიბრო ფუნქციების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების პროცესში.
- **აღწერს** სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელ უახლეს ასპექტებს, სწავლებისა და წვრთნის პრინციპებსა და მეთოდებს.

- **ახდენს** სპორტის სახეობის სპეციფიკის (ტერმინოლოგია, სპორტსმენის მომზადების მხარეები, შეჯიბრების წესები და ა.შ.) ცოდნის დემონსტრირებას.
- **ავლენს** სასპორტო განათლებასთან და სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საბაზისო მედიკო-ბიოლოგიურ (ანატომია (ადამიანის ორგანიზმის აგებულება); ფიზიოლოგიის (ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება); ბიოქიმიის (ადამიანის ორგანიზმის მეტაბოლიზმი და ჰორმონული ფუნქცია) და ა.შ), ქცევითი და სოციალური მეცნიერებების (ფსიქოლოგია (ადამიანის განვითარება - ბავშვი, მოზარდი, ზრდასრული, ხანდაზმული); სოციოლოგიის (გენდერული საკითხები) და ა.შ.) ცოდნას.

უნარები

კურსდამთავრებული:

- სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკის შესაბამისად, სამუშაო გარემოში **იყენებს** სათანადო სწავლებისა და წვრთნის მეთოდებსა და საერთოგანმავითარებელ და სპეციალურ ვარჯიშებს როგორც საშუალებებს, სპორტის მეცნიერებაში ფართოდ გამოყენებულ კვლევის მეთოდებთან ერთად;
- **აგროვებს** და **განმარტავს** სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელ მონაცემებს (მეთოდური ლიტერატურის მიმოხილვა, საშეჯიბრო ანალიზი, სპორტსმენთა მუშაობისუნარიანობის დონის შეფასება ტესტირებით და ა.შ.), შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, **აყალიბებს** სათანადო დასკვნებს.
- პროგრამის პროფილის შესაბამისად, წინასწარგანსაზღვრული მითითებების მიხედვით, **ასრულებს** კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს/ნაშრომს.
- **მსჯელობს** სპორტის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ (საწვრთნელი და საშეჯიბრო მოღვაწეობის ეფექტურობა, რეკრეაციული საკითხების მნიშვნელობა, მეცნიერული ანალიზისთვის შესაბამისი მეთოდები და სხვა) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერითი

ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- **აფასებს** როგორც თავის, ისე სხვათა ძლიერ და სუსტ მხარეებს, **გეგმავს** საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.
- სამუშაოს შესრულების პროცესში **ავლენს** პროფესიონალიზმს, **ქმნის** უსაფრთხო სამუშაო გარემოს, **მოქმედებს** გუნდურობის, სამართლიანი თამაშის წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

3.2 მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა-გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **ავლენს** ღრმა და სისტემურ ცოდნას სპორტის სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და საკვანძო საკითხების (შესაბამისი სპორტის სახეობის ან/და სპორტის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების) შესახებ.
- დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით **განიხილავს** სპორტში წარმატებული მოღვაწეობისთვის საჭირო უნარებს: როგორც პიროვნული მახასიათებლების, ისე პროფესიული ნიშან-თვისებებისა და მოტორიკის დონეზე.
- **კრიტიკულად გაიაზრებს** სპორტის სფეროში არსებული სასწავლო და საწვრთნელი პრობლემატიკის რაციონალური გადაწყვეტის სტრატეგიებს,

როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული პერსპექტივიდან გამომდინარე და ავითარებს ახალ, ორიგინალურ იდეებს.

- **ავლენს** ღრმა და სისტემურ ცოდნას სასპორტო განათლებასთან და სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური დარგების (მედიკო-ბიოლოგიური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები და სხვა) მიმართულებით.

უნარები

კურსდამთავრებული:

- **ადგენს** მოკლევადიან და გრძელვადიან კომპლექსურ სამუშაო/სასწავლო/საწვრთნელ გეგმებს, სპორტის სფეროში არსებული ამოცანების, საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით.
- შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, **ახდენს** სპორტის შესაბამის სახეობაში არსებული თანამედროვე ტენდენციების იდენტიფიცირებას; შესაბამისად, **ახორციელებს** ინტერვენციებს ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით.
- **მოიძიებს** აქტუალურ ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზეც, **წარმართავს** კვლევას დამოუკიდებლად; აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, **წარადგენს** თავის ნამუშევარს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- საქმიანობის პროცესში **იცავს** უსაფრთხოების ნორმებსა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **მოქმედებს** პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.

- დამოუკიდებლად **განსაზღვრავს** თავისი შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი განვითარების საჭიროებას და **წვლილი შეაქვს** სხვათა პროფესიული/შემოქმედებითი განვითარების პროცესში.
- **ითვალისწინებს** სპორტის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის ანტი-დოპინგური სააგენტოს) წესებსა და რეგულაციებს და პატივს სცემს ოლიმპიური მოძრაობის ღირებულებებს.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სპორტის სწავლის სფეროს შესაბამის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ქვემოთჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

ა) ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (სპორტის ბაკალავრი/მაგისტრი);

ბ) მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში);

გ) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით (ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში).

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

დეტალური სწავლის სფეროს მითითებით „სპორტის ბაკალავრის/მაგისტრის“ კვალიფიკაცია ენიჭება იმგვარ პროგრამებში, სადაც მრავალი დამხმარე დისციპლინის შესწავლის პარალელურად, აქცენტი კეთდება სპორტის კონკრეტული სახეობის თეორიული ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. ამ მიზნით, პროგრამაში გამოყოფილი უნდა იყოს გონივრული რაოდენობის კრედიტები

სპორტის ამორჩეული სახეობის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის სათანადო დონეზე ასათვისებლად.

თუ პროგრამის მიზანია სპორტის სფეროს მეცნიერულ ჭრილში სწავლება, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: „მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში“. ასეთ შემთხვევაში პროგრამაში კრედიტების გონივრული წილი უნდა დაეთმოს დისციპლინათა იმ ბლოკს, რომლებიც სპორტის სფეროს მეცნიერულად შეისწავლის.

თუ სპორტის სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად სფეროს თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი/მაგისტრი სპორტში“.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სპორტის სფეროს სწავლების მთავარი მიზანია თანამედროვე ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტის ჩამოყალიბება. სპორტის სფეროს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლების და სწავლის შეფასების მეთოდები. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო საფეხური. საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან

ერთად, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშაოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

5.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სპორტის სფეროს ეფექტური შესწავლის მიზნით, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა სასწავლო პროცესი წარიმართოს როგორც სააუდიტორიო სივრცეში, ისე შესაბამის სპორტულ ობიექტებზე. ქვემოთ ჩამოთვლილია სპორტის სფეროში სწავლება-სწავლის რეკომენდებული მეთოდები. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა შესაძლებელია სწავლების პროცესში გამოიყენონ ქვემოთჩამოთვლილთაგან შერჩეული და/ან სხვა მეთოდები.

- **ლექცია**
  - ლექციაზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: ახსნა-განმარტება, პრეზენტაცია და სხვა;
- **სემინარი**
  - სემინარზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში და სხვა;
- **პრაქტიკული მეცადინეობა**
  - პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება-დემონსტრირება, პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, ანალიზი, სინთეზი და სხვა;
- **დამოუკიდებელი მუშაობა**
  - დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობები: წიგნზე მუშაობა, პრეზენტაციაზე მუშაობა, ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება და სხვა.

5.2. შეფასების მეთოდები

სპორტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული და/ან სხვა მეთოდები გამოიყენოს.

შეფასების კომპონენტებია (შეფასების საშუალებებია):

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- ტექნიკური მოქმედებების პრაქტიკული შესრულება;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- კვლევითი პროექტი;
- და სხვა.

5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკა სპორტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამ კომპონენტის მიზანია სტუდენტში, როგორც მომავალ სპეციალისტში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, განვითარება და განმტკიცება.

იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც მიმართულია სპორტის კონკრეტული სახეობის მწვრთნელის მომზადებაზე, პრაქტიკული კომპონენტის გამომუშავება ხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ხოლო მისი რეალიზება - სამწვრთნელო პრაქტიკაზე.

5.4. სტუდენტის სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება

სპორტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია და სპეციფიკა მიმართული უნდა იყოს კვლევაზე. ამ მიზნით პროგრამაში შეტანილი უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები.

აღნიშნული სასწავლო კურსები უნდა ქმნიდნენ იმის წინაპირობას, რომ პროგრამაში კვლევითი კომპონენტი სათანადო სიღრმით იყოს წარმოდგენილი, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტში კვლევითი უნარების განვითარებას და ეფექტური, კვლევითი პროფილის მქონე სამაგისტრო ნაშრომის შექმნას.

სამაგისტრო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სპორტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იქნეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაწერილი იქნება ყველა საჭირო პროცედურა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. აკადემიური პერსონალი

სპორტის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული

სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პრაქტიკული დისციპლინის წამყვან პერსონალს, სპორტის შესაბამისი სახეობის თეორიულ ცოდნასთან ერთად, უნდა გააჩნდეს პრაქტიკული მოღვაწეობის მხრივ დაგროვებული სათანადო გამოცდილება. სასურველია შესაბამისი მიმართულებით ჰქონდეს სამსაჯო გამოცდილებაც, იყოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ან სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

6.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სპორტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა ფლობდეს აუცილებელი სპორტული ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სასწავლო ფართს, რაც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შეუქმნის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს.

პრაქტიკული მეცადინეობა უნდა წარიმართოს სპორტის კონკრეტული სახეობისთვის შესაბამისი სტანდარტების მქონე სპორტულ ობიექტზე, სათანადო ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვით (ამაში იგულისხმება როგორც სავარჯიშო ადგილის, ისე სპორტსმენის ჰიგიენა).

6.3. დასაქმება

სპორტის მიმართულებით ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- იმუშაოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- დასაქმდეს მწვრთნელად ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, სპორტულ კლუბებში, სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებში (სპორტის ზოგიერთი სახეობის შემთხვევაში, აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, სავალდებულოა შესაბამისი სპორტის სახეობის ფედერაციის ეგიდით განხორციელებული სასერტიფიკაციო კურსების/სალიცენზიო პროგრამების გავლა);
- დასაქმდეს სპეციალისტად – სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებში, გამაჯანსაღებელ და ფიტნეს კლუბებში;
- იმუშაოს მეცნიერ-მკვლევარად სპორტის მიმართულებით;
- იმუშაოს შესაბამისი პროფილით კოლეჯსა და უმაღლეს სასწავლებელში;
- და სხვა.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	გიორგი ზუბიტაშვილი	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სპორტის დოქტორი; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი, ორთაბრძოლების კათედრის გამგე - საბჭოს თავმჯდომარე

2	სოფიო გვეტაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია	საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი - საბჭოს მდივანი
3	მაია ხურცილავა	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ექსპერტი
4	მერაბ მეტრეველი	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრის დირექტორი, სპორტთამაშების კათედრის ასისტენტ-პროფესორი; ევროპის ფედერაციის ხელბურთის პროგრამის ფარგლებში საქართველოში ხელბურთის მწვრთნელთა სერტიფიცირების სისტემის ხელმძღვანელი
5	ლაურა ელიაური	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო

			სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
6	ალექსანდრე გობირახაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, მიწვეული სპეციალისტი; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; „ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის" სპორტკლუბის ხელმძღვანელი
7	თამარ მამაგულაშვილი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის პირველი კატეგორიის სპეციალისტი
8	თეონა ასათიანი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მასობრივი

		ახალგაზრდობის სამინისტრო	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სპეციალისტი
9	შალვა ონიანი	ა(ა)იპ - საქართველოს კალათბურთის ფედერაცია	საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; საქართველოს ახალგაზრდული კალათბურთელთა ნაკრებების მენეჯერი; FIBA-ს 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დირექტორი; FIBA-ს EUROBASKET-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; FIBA-ს SPOC-ი - სპორტი და სამართლიანობის ოფისის ხელმძღვანელი
10	ვაკო დარსაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის მოადგილე, მწვრთნელთა განათლების მენეჯერი, უეფა-ს SHARE პროექტის კოორდინატორი, ფიფა-ს TDS-ს პროექტის ხელმძღვანელი, ევრო U21 2023 სავარჯიშო მოედნების და გუნდების სერვისების მენეჯერი

11	ზაზა ზამთარაძე	ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური დირექტორი
12	თორნიკე კიკნაველიძე	ა(ა)იპ - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია	საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განვითარების კურსების ხელმძღვანელი